

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა  
კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“  
კანონპროექტის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტების მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი, სპეციალური, პოლიციური და გასამხედრობული დაწესებულებების სისტემის მოსამსახურეთა მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, ადმინისტრაციული პატიმრობის აღსრულების ადგილად სპეციალური ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილების განსაზღვრა.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ჩვეულებრივი მოქალაქეებისგან განსხვავებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სპეციალურ ადმინისტრაციულ პატიმრობის ადგილებში განთავსება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად ცვლილება შედის 309-ე მუხლის პირველ ნაწილში და აღნიშნული ვალიდუბა ახალი რედაქციით. ცვლილების თანახმად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო და სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეები ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის განთავსდებიან სამინისტროს სპეციალურ, მოსამსახურეთათვის განკუთვნილ ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილებში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის თანახმად სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება ეს კანონპროექტი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ აღგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.